№ 243 28 ნოემბერი, სამშაბათი 1866—1873 28 ნოემბერი, სამშაბათი № 243

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირაღლოვის სახლში. № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირაღლოვის სახლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. Გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მ.ნ. და 50 კაპ., ოთხის თვისა—3 მან.

უოველ დღე ოთხშაბათს გარდა

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე.

ფასი განცხადებისა: ლიდ ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. Დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

მომავალს 1879 წელს გაზეთი

„დროება“

გამოვა მუდამ დღე და იმავე პროგრამმითა და მიმართულებით, როგორც აქამდინ გამოდიოდა.

ხელის-მოწერა

Თფილისში—მიიღება „**დროების**“ რედაქციაში (სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირაღლოვის სახლებში, № 8).

Გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ. Въ Редакцію газ. „Дроэба“.*

Აგენტების საშუალებით გაზეთის დაბარება შეიძლება მხოლოთ იმ პირობით, რომ ფული გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა იყოს რედაქციაში გამოგზავნილი.

გაზეთის ფასი

მთელის წლისა	8 მან.
ნახევარის წლისა	5 „
სამის თვისა	3 „
ერთის თვისა	1 „

მხოლოთ ამ ვადებით შეიძლება გაზეთის დაბარება.

ᲮᲕᲔᲓᲠᲘ ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐᲑᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐ-ᲗᲐᲜᲐᲕᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲥᲜᲔᲡ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲘ; უფულოთ გაზეთი არავის არ გაეგზავნება.

საქართველო

დღიური

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ რამდენსამე ახალგაზდა ქართველთ განუზრახავთ მომავალი წლის მაისიდამ ახალი ქართული ჟურნალის გამოცემა, რგორც გვითხრეს, სახელად „Იმედი“ ერქმევაო.

ᲯᲔᲠ არც ერთი ჟურნალი არა გექონდა, ახლა ერთად ორი!

წინასწარმეტყველი არ უნდა იყოს კაცი, რომ ამ თავითვე სთქვას, რომ ერთ-ერთი ამ ჩვენი მომავალი ორი ჟურნალისა—„Ივერია“ ანუ „Იმედი“—წინათვე სასიკვდილოდ არის დანიშნული, თუ ორთავე ჟურნალის პატრონებს იმდენი კერძო საშუალება არა აქვსთ, რომ თავის საკუთარი ჯიბიდამ უკანასკნელი ოთხმოცი-ასი თუმანი მაინც დახარჯონ წელიწადში.

ეს გარემოება გვაშინებს ჩვენ; და გვაშენებს იმიტომ, რომ ჩვენი მკითხველი საზოგადოება დაფთხება, როდესაც ასე ხშირად ჰხედავს, რომ ჟურნალები იბადებიან და კვდებიან, და ნდობა, რწმუნება დაეკარგება.

მაგრამ რაც უნდა იყოს, ეს მაინც სასიამოვნო მოვლენაა: რამდენიმე წიგნი მაინც შეემატება ჩვენს ღარიბ ლიტერატურას, ჰაზრები გამოითქმება, კითხვები აღიძვრება და სხვა.

*** ᲐᲛᲐᲡ წინათ რომ ჩვენს ქალაქში ერთმა ნემეცმა—შვანბეკმი ქაღალდის ქარხანა გახსნა, ამბობენ, ეს ქარხანა უფ. Ისაი Ფითუაშვილმა იყიდაო. ᲓᲦᲔᲛᲓᲘᲜ ეს ქარხანა მარტო სახვევ ქაღალდს აკეთებდა; ახლა კი, ამბობენ, უფ. Ფითუაშვილი ისე აპირებს გამართვას, რომ ყოველ გვარი ქაღალდი გამოიყვანოს ამ ქარხანიდამ.

*** Მუხრანიანთ-ხიდის მცხოვრებლები შემოგვჩივიან, რომ ქალაქმა დაიწყო სოლოლაკის არხის გადახურვა და კი ალარ გაათავაო და ამის გამო ამ არხიდამ ისეთი საძაგელი სუნი დგება, რომ გაძლება არ შეიძლებაო.

*** Ამბობენ, რომ ამ მოკლე ხანში პრიკასჩიკების ახალი კლუბი იმართება ჩვენს ქალაქში. Წესდება ამ კლუბისა უკვე დამტკიცებულია მთავრობისაგან. Ახლა მხოლოთ სახლს ეძებენო..

*** ᲩᲕᲔᲜ შევიტყეთ, რომ ჩვენი სინოდის კანტორაში მოსამსახურე პირები გამსცხებელ-შემნახველ კასსას აართავენ თავიანთთვის, რომელშიაც ქაკასიის მხრის ყველა სამღვდელო პირებს შეუძლიანთ მონაწილეობის მიღება. Თავი ფული ამ კასსისა შესდგება იმ ფულიდამ, რომელსაც კასსის წევრები მუდამ თვე შეიტანენ. Მიზანი ამ კასისა, ოასაკვირველია, ის არის, რომ წევრებს გაჭირების დროს შეეძლოსთ უფრო ადვილად და ცოტა სარგებლით ფულის სესხება იქიდამ.

*** Ბათუმის სამხედრო ლუბ,რნატორი აცხადებს, რომ ქალაქს ბათუმში და იმის მაზრაში ყველაზე უფრო შემდეგი საგნებია საჭიროვო; მარილი, ბრინჯი, ჭიქეულობა, ფანჯრები, ჭიქის და ხის ჭურჭელი და აგრეთვე რკინის ნიეთები: ფეჩები, კრავატები, ლურსმები და სხვა.

Ბათუმში საქონლის შეტანაზე ვაჭრებს ბაჟი არ გადახდებათ; გადახდებათ მხოლოთ მაშინ, როდესაც ბათუმიდამ გამოაქვთ რაიმე საქონელი.

*** ᲩᲕᲔᲜ შევიტყეთ, რომ თფილისელი ურიები ოთხ-კლასიან სასწავლებელს ხსნიან ცალკე თავისთვისაო, რომელშიაც ებრაულის ენის შესწავლის უპირატესი იღგილი ექნებაო. Ღარიბებს სწავლის ფასს არაფერს გადაახდევინებენო და უმაღლეს სასწავლებლის სწავლის გაგრძელების ლონის-ძიებას მისცემენო.

*** Გაზეთს „Კავკაზში“ იწერებიანრომ Დ. Მ. Კავკასიის ნამესტნიკს უბრძანებია მთავარ სამმართველოსათვის, რაც შეიძლება მომეგებული ყურადღება მიექციოს Კავკაზიაში სახალხო განათლების გავრცელებას. Ამ მ ზნით, სხვათა შორის. Ბორის სამასწავლებლო სემინა, რიაში გაიხსნება ცალკე განყოფილება, რომელშიაც მაჰმადის სასწმუნოების ყმაწვილებმა უნდა ისწავლონ და მოემზადნენ მასწავლებლებად. Ამ თავით ხსენებულს სემინარიაში მაჰმადიანების შვილებისათვის ორმოცი ეკანცია არის დანიშნული.

*** ᲔᲡᲕᲔ გაზეთი გვატყობინებს, რომ პროკურორის თანაშემწეს Ბუდიმ-ლევკოვიჩს უკვე შეუდგენია გამომატყუვნებული აქტი იმ პირებისა, რომელთაც ყალბი ბილეთების გაკეთება და ხალხში გავრცელება ბრალდებათ. Ბრალდებულების რიცხვი სულ 37 კაცია; ამათში ურევია: ერთი პარუჩიკი სომეხი, ერთი, ერევნელი ვართაპეტი (სომხის ბერი) Თფ. უეზდის ადრინდელი პოლიციმეისტერი, მუზიკის მასწავლებელი (იტა

ლიელი), ადრინდელი აქტიორი სომხის თეატრისა, ქართველი დიაკვანი, ლაზარევის ინსტიტუტის ნაშაგირდალი, ერთი ქართველი თავადიშვილი, რამდენიმე ბდგილობრიელი აზნაურები და ეკრები მომეტებული ნაწილი სომხებთაგანი; დანარჩენი სულ თფილისის, ერევნის და ბანჯის წვრილი ეკრები არიან ყველა სომხები.

უცხო ქვეყნები

ინგლისი და ავგანისტანი

ინდოეთიდამ იწერებიან, რომ შეიტყო თუ ავგანისტანის ემირმა ალიმუზჯიდის აღება ინგლისის ჯარისაგან, იმ წამსვე განთავისუფლა ტუსაღობიდამ თავისი შვილი იაკობ-ხანი და 25,000 კაცის სარდლად დანიშნა ის და მტრის წინააღმდეგ გალაშქრება მიანდოეო.

—ლონდონის გაზეთებში დაბეჭდილია დიპლომატიური მიწერ-მოწერა რუსეთსა და ინგლისს შუა, რომლიდამაც სჩანს, რომ ამ ორ სახელმწიფოს 1873 წელს დაუდვიათ პირობა, რომ ბუხარასა და ავგანისტანს არცერთმა ხელი არ ახლოს; ავგანისტანი რუსეთისა და ინგლისის სამფლობელოების განმაშორებელ სამზღვრად უნდა იყოსო. მარკიზ სალსბერი ერთს ნოტაში აუვედრის რუსეთს, რომ იმან დაარღვია ეს პირობა ქაბელში (ავგანისტანში) თავის ელჩების გაგზავნით, და ამიტომ ინგლისიცთავის მხრით საჭიროდ ჰხედავს, რომ თავის სამზღვრების გასამაგრებლად ზოგიერთი ადგილები დაიჭიროს ავგანისტანისა. ამის გამო ინგლისი ნებას აძლევს რუსეთსა, რომ მერვი დაიჭიროს, თვითონ კი ქაბულში უნდა შეიყვანოს თავის ჯარები.

ამბობენ, შუალოვის გაგზავნას ლონდონში ის მნიშვნელობა აქვსო, რომ ამ საგნებზე მოილაპარაკოს ინგლისის მმართველობასთან და, თუ შესაძლებელი იქნება, ინგლისი და ავგანისტანი მოარიგოს ერთმანეთშიო.

ბოლგარია

სტამბოლელი კორრესპონდენტი „ჰავასის საგენტოსი“ გვაცნობებს, რომ 27 ქრისტეშობისთვეში ბოლგარიის ძველ სატახტო ქალაქს ტირნოვოში შეიკრიბებიან ყველა წარჩინებული პირნი, ეპისკოპოსები და ჩინოვნიკები და აპრილამდინ ეს კრება შეადგენს ბოლგარიის მმართველობის წესდებას, ახალ კანონებსა და შემდეგ კი ესვე კრება ბოლგარიის მთავრის ამორჩევას შეუდგება.

სპარსეთი

სპარსეთის შაჰმ გაუგზავნა ნოტა ევროპის ყველა იმ სახელმწიფოებს, რომელთაც ბერლინის კონგრესში მიიღეს მონაწილეობა, რომელშიაც ის სჩივის, რომ კონგრესისაგან დათმობილ ბოტურის მაზრას არ მაძლევს ოსმალეთიო და გთხოვთ აიძულოთო, რომ იმან შეასრულოს ეს პირობაო.

რუსეთი

ვენის გაზეთს „ტაგბლატში“ დაბეჭდილია შემდეგი ამბავი, 14 ნოემბერს ლივადიიდამ მიღებული:—

„ბუშინწინ მოვიდა აქ, რუსეთის იმპერატორის მოწვევით, ღენ. ტოტლებენი, რომელთანაც ორი დღის განმავლობაში ჰქონდათ სამხედრო რჩევა. მოლაპარაკება, როგორც ისმის, აღმოსავლეთ რუმელიის თაობაზედ იყო. ამბობენ, ღენ. ტოტლებენი თხოულობდაო, რომ რუმელიაში დაყენებულ რუსის ჯარებს კიდევ ახალი ჯარები უნდა მიემატოსო. ამ წინადადების თანახმად სამხედრო რჩევას მართლაც გარდაუწყვეტია ახალი ჯარების გაგზავნა რუმელიაში, ასე, რომ ამ მოკლე ხანში ამ ჯარის რიცხვი 300,000 კაცამდინ უნდა ავიდეს.

— ლონდონის გაზეთი „ტაიმსი“ გვაცნობებს, რომ თურქასტანის ღენერალ-ლუბერნატორს ქაუფმანს ავგანისტანის ემირის ელჩისათვის — მუნჩა-მაჰმად-ჰასანისათვის გარდაუცია ძვირფასის თვალმარგალიტით შემკობილი ხმალი, რომელიც რუსეთის იმპერატორმა გაუგზავნა ემირს საჩუქრათაო.

— ბერლინიდამ მოვიდა ამბავი, რომ ამ ქალაქში იმყოფება ახლა რუსეთის ელჩი ორლოვი, რომელსაც რუსეთის იმპერატორისაგან მინდობილი აქვს იშუამდგომლოს ბერმანიის მთავრობასთან, რომ იმან შეასრულებინოს ოსმალეთს ბერლინის ტრაქტატის ყველა მუხლები.

ფელეტონი

არტაანის ამბები

(ბაგრძელება *)

როგორც კედლები, არტაანის სახლებისა, ეგრეთვე საზოგადოთ მრთლად კარმიდამო უსუფთაო და ნეხვით სავსეა.

ჯერ შეხვალთ ერთს ოთახში, რომელიც, ეგონებ, ჩვენებური დერეფნის მაგერია, განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ეს თითქმის ისეთი ბნელია, რომ დღისითაც უსანთლოთ გავლა ძნელია. აქ არის დაგროვილი საწვავი წვია. აქედამ შეხვალთ ბოსელში, საიდამაც მარჯვნივ მხრივ აქაური უჩინარი დედაკაცების ოთახებშია შესავალი, ხოლო მარცხნივ — სასტუმრო ოთახია გამართული. ყველა ამ ოთახებიდამ კარები ბოსელში გამოდის, ბოსლიდამ დერეფანში და დერეფნიდამაც გარეთ, სხვა გასავალი არსაითა აქვს.

რადგანაც მარჯვნივ ოთახები მაჰმადის სწავლით საზოგადოთ მამაკაცისთვის და განსაკუთრებით გიაურისთვის მიუდგომელია, ამისათვის მე შემიძლიან მხოლოდ სასტუმრო ოთახი აგიწეროთ. უნდა კი შევნიშნო, რომ მე ესწერ მარტო აქაური შუათანა მოქალაქის ცხოვრებას, რადგანაც ფაშები და საზოგადოთ მაღალი წოდების პირები აქ აღარავინ დარჩენილან — სულ ოსმალეთში გადასახლებულან.

იატაკი, ჭერი და კედლები შიგნიდამ უფრო მდიდარი პატრონის საუტუმროებს ფიცრისა აქვთ, უფრო ღარიბებისა კი მარტო ქვის კედლებისაგან, თაეხვებისგან და ბოძებისგან შესდგება; მაგრამ ორივე ერთს ჰანგზე არიან აშენებულები. სანათებლად ჭერში ორი პატარა შუშის ფანჯარაა გაბართული, საიდამაც ერთი ბეწო მზის შუქი ძლივს ჩამობჟუტავს და ამის გამო აქ დღეცა ბნელია. ქვის ბუხარი და შიგაც ამის აუცილებელი კუთვნილობა—ყავის ჭუჭყიანი იარაღი, ე. ი. სპილენძის ყავადანი და პაწაწა ფინჯნები.

არც ჩვენებური ტახტი, არც სტოლი და არც სკამი აქ ხმარებაში არ არიან. მდიდრის სასტუმროში იატაკზე აგია ხალიჩები, ხალიჩაზე ყრია ლეიბი, მუთაქები და ბალიშები, ხოლო ღარიბისაში აგია მარტო ჭილობები.

—

როდესაც სტუმარი ეწვევათ, სახლის პატრონი, სალამის შემდეგ, მიიწვევს სტუმარს მარჯვნივ ხალიჩაზე, სადაც უთუოთ უნდა მოიკეცოს და ისე დაჯდეს. თუ არ მოიკეცა, ეს ამათში დიდი უზდელობაა. სახლის უმცროსი, რომელსაც მხარზე ტილო აქვს გადაგდებული, აიღებს ჩიბუხს, მოვა, დაიჩოქებს ცალ მუხლზე სტუმრის წინ და ისე მისცემს ხელში. ამავე წესით მოართმევს შერბეთს და პაწაწინა ფინჯნით ყავას. როდესაც გაათავებს სტუმარი, ის ისევ წინ დაუჩოქებს, სტუმარი აიღებს ტილოს იმის მხრიდამ და ტუჩებს მოიწმენდს. ამ დროს მეზობლებიც არიან აქ და სახლის პატრონს ლაპარაკით შეაქებენ სტუმარს.

სწორეთ ამავე წესზე ცხოვრობენ არტაანის მაზრის სოფლებშიაც.

—

თუმცა არტაანიც და საზოგადოთ არტაანის მაზრაც საქართველოს ნაწილს შეადგენს, თუმცა სოფლების უმეტესს ნაწილს ქართული სახელები ჰქვიანთ, როგორც მაგ. ხევი, ძინძა-თამარა, შადრევანი, საზარო, ფელი, მინდაშენი და სხ., და თითქმის ყოველს სოფელში არის ეკკლესიების ნანგრევები, მაგრამ აქაური მცხოვრებნი არც საზოგადო ტიპით და არცა-რა სხვა თვისებით ქართველებს არა გვანან და არც არავინ იცის ქართული ენა. ამის გამო მე ვფიქრობ, რომ ოსმალებს აქ გაუქვრიათ ქართველთა თესლი და სხვა-და-სხვა ოსმალოს სამფლობელოს ნაწილიდამ გადმოუსახლებიათ ხალხი.

განსხვავება ისე დიდია ამათში და ქართველებში, რომ მაგ. ან აჭარელი, ან ლივანელი, ან იმერხეველი მცხოვ-

*) იხ. „დროება“, № 241.

სამართალი

ანდრეევსკის ქალის საქმე

თფილისის სამოსამართლო პალატაში

სალამოს სხდომა 25 ნოემბერს.

ნასადილევის 5 საათზე შეწყვეტილი სხდომა გაიხსნა იმ საღამოსვე 7 საათზე.

მეათე საათზე სასამართლოს წევრმა ბაკალოვ გაათავა, როგორც იყო, საქმის გარემოების მოხსენება.

შემდეგ დაიწყეს მოწმეების ჩვენების ჩამორთმევა. უველაზე პირველად ჰკითხეს მეთეოზეს ფიდუა მენაბდიშვილს, რომელმანც პირველად დაინახა და გამოიტანა წყლიდამ დამღრჩვალი ნინო ანდრეევსკის გვამი.

ამის ჩვენების დროს ცხადათ დამტკიცდა—თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს თარჯიმანს ჩვენს სასამართლოებში. ორი საათის განმავალობაში წვალობდნენ ორი თარჯიმანი სასამართლოსი და სულ უბრალო კითხვები ქართულად ვერ გადაუთარგმნეს სასამართლოსი, ადვოკატისა და პროკურორის მოწმეს და ვერც ამის ჩვენება გადათარგმნეს რიგიანად რუსულათა. ბოლოს საქმე იქამდინ მივიდა, რომ სასამართლო იძულებული შეიქნა თარჯიმნობა ეთხოვა თ. დ. მ. ერისთვისათვის.

შაბათის სხდომა სასამართლოსი ამით გათავდა ნაშუალამევის პირველს საათზე.

სხდომა 26 ნოემბერს.

სხდომა მეთორმეტე საათის ნახევარზე გაიხსნა. რადგან კვირაა და მშვენიერი დღეცა, ამის გამო ხალხი უფრო ბლომად მოაწყდა სასამართლოს კარებს. შესვლა ზალაში, რასაკვირველია, მეათედ ნაწილს არ ღირსებია.

ახალი თარჯიმანი თ. დ. ბ. ერისთავი დააფიცეს და სასამართლო ხელ-ახლად შეუდგა მოწმის მენაბდიშვილის ჩვენების ჩამორთმევას.

ფიდუა მენაბდიშვილმა უჩვენა, რომ 1876 წლის 22 მკათათვეს, ის იყო ყარაიაზზე და როცა დილით ადგა და თავის ჩანგლების დასახედავად წავიდა, დაინახა, რომ მტკვარს დამღრჩვალი ადამიანის გვამი მოჰქონდა. ჩაევდი წყალში და გამოვიტანე ნაპირზედაო.

სასამართლოსა და დამცველ-პროკურორის კითხვაზე, მოწმემ აჩვენა, რომ გვამი ისე სუფთა და თეთრი იყო, როგორც ანგელოზი; იარები და დალურჯებული ადგილი არსად არ ჰქონია გარდა თითებისაო. წყლიდამ რომ გამოვიტანე, ჩემი ამხანაგი სხვა მეთევზეებიც მოვიდნენო, ამოვთხარეთ ორმო, ქვეშ ბალახი ჩაუგეთ, ჩავასვენეთ შიგ, შემდეგ მიწა დავაყარეთ, ჯაგი დავადვეთ ზემოდამაო და წამოვედით ქალაქში პატრონის შესატყობინებელადაო.

სოლომან ი. შაბურიეს ჩამოართვეს ჩვენება იმაზედ, თუ როგორი მდებარება აქვს იმ ადგილს, რომელიც იმას ეკუთვნის და რომელზედაც მენაბდიშვილს ენახა პირველად დამღრჩვალი გვამი ნ. ანდრეევსკისა.

იოსებ თოფურიამ აჩვენა, რომ რამდენიმე ხნით წინ ანდრეევსკის ქალის მოკვლამდინ ის შეხვდა ბალში პეტრე ბაბისონიას, რომელსაც ქალის წაღები მიჰქონდა მეწაღესთან გასაკეთებელად.

პეტრე ბაბისონიას ცდილობს გაახსენოს - იმას, რომ ეს ამბავი, ადრე კი არა, სწორეთ იმ დღეს მოხდა, რა დღესაც ანდრეევსკის ქალი დაიღრჩვაო. მაგრამ, რადგან ი. თოფურია ამტკიცებს, რომ იმ დღეზე ადრე იყოო, ამის გამო ბაბისონია ამბობს, რომ ამას ეშინიან, ვაი თუ მეც გამრიონ ამ საქმეში, და იმიტომ დგას უარზედაო.

მოწმემ თ. ბ. მ. შარვაშიძემ ადვოკატის სპასოვიჩის კითხვაზე აჩვენა შემდეგი: როცა ნ. ანდრეევსკისა დაიღრჩო მე ჭუთაისში ვიყავი; ამის წინათ კი სამეგრელოში ვიყავი ბორდში თ. მინგრელსკისთან. დილით 23 ივლისს 1876 წელს ჯერ ლოგინიდამ ამდგარი არ ვყოფილვარ, შემოვიდა ჩემთან ბ. ლოლობერიძე და მიჩვენა დ. ჩქოტუასაგან მიღებული დეპეშა, რომელშიაც ეწერა, რომ ნინო ძალიან ავათ არის და უნდა ჩამოხვიდეო. მე იმ დღესვე წამოველი ქალაქში. მეორე, თუ მესამე დღეს შევიტყე, რომ დამღრჩვალი გვამი ნინოსი ენახათ და ჩამოიტანეს ქალაქში. პირველად რომ ენახე, ძლივს ვიცანი ისეთ ნაირად იყო გაბერილი და გასვრილი ტალახით. მარცხენა თითი ჰქონდა გარები აქაურ ათასს კაცში ჩააყენოთ, მაშინვე შენიშნავთ, რომ ეს სხვა ხალხს ეკუთვნის და არა ამათ. მსენიც თითონ აჭარელებს, ჭანელებს, შავშეთელებს, ლიეანელებს და სხვათა—ბურჯებს უწოდებენ და თავიანთ თავს ოსმანებს.

—

რაც შეეხება აქაური მცხოვრებლების ზნეობით მხარეს, ამაზე იმას გეტყვით, რომ „როგორიც ალხანა, ისეთი ჩალხანაო“, როგორიც სარწმუნოება აქვთ, ისეთი ზნეობა.

ქარგათ რო დავაკვირდეთ მაჰმადის სარწმუნოებას, ისე, როგორც მიღებულია ხალხში, შევნიშნავთ, რომ ეს მრთლად შესდგება მარტო გარეგანობისაგან და შინაგან მისს ღირსების ყურადღებას არავინ აქცევს. ამათში ჭეშმარიტი მორწმუნე ის არის, ვინც კარგათ სახალხოთ ასრულებს სხვა-და-სხვა გარეგან რელიგიურ წესებს და შემდეგ კერძოობით ცხოვრებაში კი, გინდა ქვეყანა დაანგრიოს, ამას ყურს არავინ უგდებს.

თვითონ ხალხიც ფარისეველი, მუხანათი, მოღალატე, დაუნდობელი არის. ერთის სიტყვით, ამათთვის არა მგონია ცხოვრებაში წმინდა და საღმრთო იყოს რამე.

რომელიმე ხალხის ზნეობითი ღირსების დასაფასებლად, ჩემის აზრით, საჭიროა არა-უკანასკნელი ყურადღება მიექცეს ამ ხალხის დედაკაცის მდგომარეობას. რამოდენათაც ხალხი ზნეობით მაღალ ხარისხზე სდგას, იმოდენათ ის პატივისცემით ეპყრობა დედა-კაცს, ჰკითხავს ცხოვრებაში რჩევას და აზრს, აფასებს მისს კაცურს ღირსებას და მისს უფლებაეს ცხოვრებაში.

აქაურებიც, როგორც საზოგადოთ ყველა მაჰმადიანი, დედაკაცს სწორეთ პირუტყვის მდგომარეობაში აყენებენ. ამას ცხოვრებაში არც ხმა და არცა-რა სხვა უფლება აქეს მინიჭებული. ეს არის გაჩენილი მხოლოდ მამაკაცის ცხოველური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

აი აქაური ბოლლები და სხვა მაჰმადის სარწმუნოების სწავლაში განვითარებულნი პირნი რას ქადაგობენ დედაკაცზე:

„მრთლად კეთილ-სათნოიანი ცოლი შეუძლებელია ქვეყანაზე და საზოგადო გარყვნილება დედაკაცებში უფრო გავრცელებულია, ვიდრე მამაკაცებში. ეს თვით განგებამ არგუნა წილად დედაკაცს. როდესაც შემოქმედმა შექმნა დედაკაცი, მაშინ ეშმაკი დიდს აღტაცებაში მოვიდა და სთქვა:

„შენ ხარ ნახევარი ჩემის ძლიერებისა! შენ ხარ ჭეშმარიტი მფარველი საიდუმლოთა ჩემთა! შენ ხარ სწორეკ ისარი, რომელსაც ვესვრი და თავის დღეში არ ავაცდენ ნიშანს!“

თვით მაჰმადი ამობს დედაკაცზე:

„როდესაც ვიდექ მე სამოთხის კარის წინაშე, ვიხილე მე, რამეთუ მუნ მყოფთა უმეტესი ნაწილი იყვნენ გლახაკნი და ღარიბნი, ხოლო როდესაც ესდექ ჯოჯოხეთისა წინაშე, ვიხილე, რამეთუ მუნ მყოფთა უმეტესი ნაწილი იყვნენ დედაკაცნი“.

ამგვარი სწავლის გამო, ყველა მაჰმადიანი დაჯერებულია, რომ დედაკაცი ისეა შექმნილი, რომ არ შეიძლება ის კეთილი და სათნოიანი იყოს. თვით დედაკაცებიც ასე უყურებენ თავიანთ თავს. ამისათვის მამაკაცი, ოღონდ დედაკაცი არ ეჩვენოს ვისმე პირახდილი და სარწმუნოების გარეგანი წესები აღასრულოს, და კერძოთ რაც უნდა ჩაიდინოს, ის გულგრილად უყურებს.

აქედამ წარმომდინარეობს ის, რომ მართლა საზოგადო გარყვნილება დედაკაცებში უფროა; ვიდრე მამა-კაცებში, ამის დასამტკიცებლად გეტყვით, რომ, როდესაც ორტაანი აიღეს, მაშინ ჩვენს ექიმებს აქ დახვდათ ვენერიული ავათმყოფობა სრული თავის ძლიერებით.

ზოგიერთა მამა-კაცები თითონვე რყვნიან თავიანთ ცოლებს, ქალებს, დებს და სხვ., რომელიმე პიროვანი სარგებლობისთვის.

ფუჭებული და იმით ვიცანი. დავით ჩქოტუას ყმაწვილობითვე ვიცნობდი; შემდეგ როცა ოდესაში ვმსახურებდი, იქ ხელ-ახლად გავიხსენეთ ნაცნობობა და ბოლოს პეტერბურგის უნივერსიტეტში რომ გადავიდა, იქაც ხშირად ვხედავდი. იქიდამ გამოვგზავნეთ ჩვენ ის ანდრეევსკის მამულების გამგებელად. ოდესიდამ მე, ჩემი სიდედრი ბარბარე ანდრეევსკისა და ჩემი ცოლის-და ნინო ერთად წამოველით. მამულის გაყოფისათვის მედიატორების მოსამართლეებად ამოვირჩიეთ: ალ. ონიკოვი, ბ. ლოლობერიძე და დ. ანჩაბაძე. მართალია, რომ, როცა ჩემი წილი მხვდა, მიცვალებულმა (ნინომ) მითხრა: თუ გინდა გავცვალოთ ერთმანეთში ჩვენი წილიო, მაგრამ მე არ დავთანხმდი. ჩემი სიდედრი მე წავიყვანე აქედამ ოდესაში; მერე ვარშავაში წაველი და მას აქეთ ის აღარ მინახავს, ასე, რომ მე ვერ შემიძლიან გითხრათ — თუ რას ჰფიქრობს, ან ვის აბრალებს თავის ქალის მოკვლას...

შემდეგ ექსპერტებზე მივარდა საქმე. პროფესორმა სარაკინმა მისცა რამდენიმე კითხვა აქაურ ექიმებს, რომელთაც პირველად ნახეს და გაუჭრეს დამღრჩვალი ნ. ანდრეევსკის ქალის გვამი და მოსთხოვა ამათ ამ კითხვებზე დაწერილებითი პასუხი. ჩვენმა ექიმებმა ჯერ გამოაცხადეს, რომ 15 მინუტი გვეყოფა ამ კითხვებზე პასუხის სათქმელათაო; სასაჭართლომ ნახევარ საათი ვადა დაუნიშნა, მაგრამ ნახევარი საათი რომ გაჰაედა, მერე გამოაცხადეს, რომ ხვალამდინ გვადროვეთო.

ამ ნაირად შემდეგი სხდომა დაინიშნა ორშაბათისათვის დილის 10 საათზე.

(მაგრძელება)

ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ლონდონი, 25 ნოემბერს. „დელი ნიუსში“ იწერებიან: ხმა არის, ვითომც ავგანისტანის ემირმა მაიორს ქოვანიარს მოსწერა წიგნი, რომელშიაც ის აცხადებს, რომ თანახმაა ინგლისს დაემორჩილოს.

ლონდონი, 25 ნოემბერს. მოვიდა ავგანისტანის ემირის პასუხი ინგლისის ულტიმატუმზედ. ემირი იწერება, რომ იმან იმიტომ არ მიიღო ინგლისის ელჩები, რომ ეშინოდა თავის დამოუკიდებლობის დაკარგვისა, და ამასთანავე, აცხადებს, რომ ავგანისტანსა და ინგლისს შუა არავითარი მტერობა არ არსებობსო. ემირს ჰ ურს განაახლოს ძველი მეგობრული გახწყობილება ინგლისთან; ის თანახმაა მიიღოს დროებით ელჩები.

განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება საქართველოს

კალენდარი

ფასი 20 კაპეიკი

შედგენილი ი. ლიაძისაგან და გამოცემული ე. ხელაძისაგან.

თფილისში, ყველა წიგნების მაღაზიაში. ბორში: ძამოევის მაღაზიაში. ქუთაისში: კ. მესხის წიგნის მაღაზიაში და ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში. ფოთში: ელისბარ ბაბალოვთან, ოზურგეთში, გრიგოლ ჯინჭარაძის მაღაზიაში.—

ვინც 100 ეგზ. ერთათ გაიწერს, იმას ეგზემპლიარი 15 კაპეიკათ დაეთმობათ.—

აგრეთვე ამ დღეებში გამოვა ბეჭედიდან და იქმნება გასასყიდად ამავე ადგილებზედ: ივ. კერესელიძის „ლექსმბის“ გამოცემული ექვთიმე ხელაძისაგან

ფასი ყველგან 50 კაპ.

(5—3)

დაიბეჭდა და ისყიდება ა. თუთაევის სამ-მოქმედებიანი კომედია; „რძალი, ვული და მაშენიკები“—თ ფ ი ლ ი ს ში: ბრიქუროვის, ვართანოვის და ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში,

ვ ლ ა დ ი კ ა ვ კ ა ზ ს: ბიორგი ბარათოვთან, ბ ო რ ში: ზაქარია დონდაროვთან, ც ხ ი ნ ვ ა ლ ში: თ. ვანო თაქთაქოვთან, ს ა ქ ა შ ე თ ს: თ. ნიკო დიასამესწინ მ ე ჯ ვ რ ი ს ხ ე ვ ს: მასწავლებელ მოსე ნათაძესთან, ქ უ თ ა ი ს ს: კ. მესხის წიგნის მაღაზიაში და დ. ბოკერიასთან, ს ა მ ტ რ ე დ ი ა ს: ი ო რ დ ა ნ ე სიხარულიძესთან, ფ ო თ ში, ელიზბარ ბაბალოვთან.

ამავე პირებთან ისყიდება ამავე თუთაევის მეორე კომედია.—„ცოლი ვიტირო, თუ ფული?“

(6—6)

ლექსები

„სიყვარული“

შედგენილი ანთ. ჯუღელისაგან გამოვიდა და იყიდება თფილისში ჩარკვიანის, ვართანოვის, ბრიქუროვის და სხვა წიგნის მაღაზინებში და „ივერიის“ რედაქციაში. სამეგრელოში დ. სუჯუნას ბ. თოფურიძის დუქანში და აბაშის სტანციაზე პ. მელიქოვის დუქანში, ზესტაფონს ჩუბინიძის და ქოსტავას დუქანში.

ფასი ორი შაური. ოცს ეგზემპლიარს ვინც იყიდის ერთად, მას თითო ეგზემპლიარი დაეთმობა რვა კოპ. მეტს ვინც იყიდის იმას შვიდ კოპეიკათ.

რაკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი . .	9	21	5	18	მ.	კაპ.	მ.	კაპ.
მცხეთა . . .	10	11	6	27	-	68	-	38
ბორ- . . .	11	5	9	43	2	40	1	33
ხაშური. . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
ყვირილა . .	5	49			5	81	3	23
რიონი . . .	6	57			6	75	3	75
სამტრედია .	7	51			7	73	4	29
ახალ-სენაკი	8	43			8	57	4	76
ფოთი . . .	9	50			9	75	5	42
ფოთი . . .	9	3						
ახალ-სენაკი	10	14			1	18	-	66
სამტ ედია .	11	5			2	6	1	14
რიონი. . .	12	13			3	4	1	69
ყვ ირილა .	1	18	ღამ.		3	98	2	21
სურამი . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
ბორი . . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა . . .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილის . .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი	მან	კაპ.
ოქი სიტყვა თ ფილ სიდამ:		
ქაკ სიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში.	—	50
როსტოვ, ოდესს, მოსკოვ	2	—
პეტერბულს, ვარშავას	2	—
ოსმალეთშ, შვეიცარიაში. .	3	—
იტალიაში და საფრანგეთში .	3	50
ინგლისში	3	75

ფოსტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ქალაქეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთის კენ — ყოველ დღე, კვირას გარდ. ოზურგეთს—ორშ. და პ რასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში	კაპ.
და სამზღვარ გარეთ:	
ერთ წიგნი	4
დ.ბ ჭდილის (ბეჭდი ბისხალი) .	8

მაზანდა	მან	კაპ
თფილისი, 25 ნოემბერს.		
ფქვ თეთ. ბანჯ სა, ოთ.	1	80
ფ ვ ლ ი ფ ოთელი . . .	1	50
ქერი ფუთი	1	20
ბამბა ერევ ისა, ფუთი .	7	—
— ამერიკიაა, ფუთი . .	7	50
ბაპენტილი ბ ამბა ფუთი.	10	—
მატყლი თუშური ფუთი	7	50
— თარაქამისა ფუთი . .	5	50
აბრეშუმი ნუხური სტ .	2	—
ქონი, ფუთი	5	60
ქონის სანთლი ფუთი .	7	—
სტეარინის სანთელი, ფთ.	12	40
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	81
—ცხვრისა, ლიტრა . .	—	90
სპირტი ვედრო	4	80
შაქარი, ბროც. ფუთი .	7	40
—ფხვნილი ფუთი . . .	6	40
ყავა გრგვალი, გირვ .	—	70
ხეთი ქუნაკუთისა ფუთი	12	8
თამბაქო, საუფლო ფთ.	6	8

თფილისის სამკურნალო.
ექიმები მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ.
ორშაბათს: ვერმიშევი და ბარლევიჩი—შინაგ. ავად., ქიუჩარიანც—საჯარო ექიმი და საშვილოს ოპერაციები.
სამშაბათს: ვერმიშევი—შინაგ. ა. ბ ხუტოვი—საბებიო და ბავშვის, პეუნოვი—თვალის.
ოთხშაბათი: ვერმიშევი შინაგანი.
ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინაგ., ქიუჩარიანცი—ოფილიტიკური და საშარდე ორგანების.
პარასკევს: ვერმიშ ვი-შინაგ., ა. ბახუტოვი—საბებიო ქალისა და ბავშვების.
შაბათს: ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი—თვალისა.

Дозволено цензурою. Тифлисъ 27 Ноября 1878 г. Типографія Меликова. გამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.